ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 4723151001**
თარიღი:**31/05/2023**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N5

დ. ჩოხატაური

23 მაისი, 2023 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: გოჩა ჯიქია, აკაკი ყაჭეიშვილი, კობა კალანდაძე, ქეთევან სიხარულიძე, თემური ხუხუნაიშვილი, ლაშა თოლორდავა, გოგი ბოლქვაძე, ხათუნა ბერიშვილი.

არ ესწრებოდა: ზაურ ზარბაზოია, დიმიტრი კორიფაძე, მარინე თავაძე, მამია ბარამიძე.

მოწვეული:

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თეა უჯმაჯურიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფოსი.

გია გიორგაძე - მერიის ეკენომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ.

3. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა“ (კოდი 01.00) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა(ი)პ-ების მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდა“, მუხლით

მ/წ აპრილის თვის ჩათვლით გაწეული ხარჯების შესახებ.

4. ინფორმაცია,მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აჯობებდა წყალმომარაგების საკითხთან დაკავშირებით შექმნილიყო ცალკე ა(ა)ი.პ, ან ა(ა)ი.პ „ჩოხატაურის სერვისცენრში“ შექმნილიყო ცალკე განყოფილება, რომელიც იმუშავებდა წყალმომარაგების საკითხების მოგვარებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

3. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა“ (კოდი 01.00) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა(ი)პ-ების მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდა“, მუხლით მ/წ აპრილის თვის ჩათვლით გაწეული ხარჯების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

4. ინფორმაცია,მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

I საკითხი

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“-

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

თეა უჯმაჯურიძემ განმარტა, რომ დაბა ბახმაროში მერის წარმომადგენლის თანაშემწის სახელფასო ანაზრაურება დაკორექტირდა და ფრაქციის სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნის გათვალისწინებით და გაიზარდა 250 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, ლაშა თოლორდავამ, ქეთევან სიხარულიძემ, კობა კალანდაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება :

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი

ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა“ (კოდი 01.00) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა(ი)პ-ების მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდა“, მუხლით მ/წ აპრილის თვის ჩათვლით გაწეული ხარჯების შესახებ.

მოისმინეს :

3. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა“ (კოდი 01.00) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა(ი)პ-ების მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდა“, მუხლით მ/წ აპრილის თვის ჩათვლით გაწეული ხარჯების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოებისთვის ხარჯები გაიწეროს არაფინანსური აქტივებიდან და არა „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან..

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა“ (კოდი 01.00) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა(ი)პ-ების მიერ „არაფინანსური აქტივების ზრდა“, მუხლით მ/წ აპრილის თვის ჩათვლით გაწეული ხარჯების შესახებ.

IV საკითხი

ინფორმაცია,მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

4. ინფორმაცია,მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულია 10,0 ათასი ლარი. უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება, ახალ სეზონზე, განსაკუთრებით დაბა ბახმაროში, მაქსიმალურად ამოღებული იქნას დასუფთავების გადასახადი. შესაძლოა, კომუნალურმა სამსახურმა გამოყოს თანამშრომელი, რომელსაც დაეკისრება აღნიშნულის შესრულება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი